დანართი N 1

მერჩენდაიზერების ფუნქციები და შესასრულებელი სამუშაოების აღწერა

მერჩენდაიზინგის მომსახურების ფარგლებში, პრეტენდენტის მიერ გამოყოფილი ადამიანური რესურსი ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი სამუშაოებისა და ფუნქციების შესრულება:

1. პროდუქციის მიღება, დასაწყობება და სავაჭრო თაროების დროული და უწყვეტი შევსება;
2. პროდუქციის მარაგების მუდმივი კონტროლი და შესაბამისი რეაგირება დეფიციტის ან მარაგების არასაკმარისი ოდენობის შემთხვევაში;
3. უშუალო ხელმძღვანელთან/მენეჯერთან მუდმივი კომუნიკაცია, შეკვეთების პროცესში ჩართულობა და კომპანიის მიერ განსაზღვრული გეგმებისა და მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულებაზე ზრუნვა;
4. პროდუქციის ვადების კონტროლი;
5. ფასმაჩვენებლების, სარეკლამო მასალებისა და სხვა ვიზუალური ელემენტების განახლება და შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
6. გადალაგებებისა და აღწერების პროცესში მონაწილეობა, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში დღის ან ღამის საათებში;
7. კომპანიის მიერ განსაზღვრული წილებისა და პლანოგრამების პარამეტრების დაცვა;
8. როდუქციის ქარხნული ვიზუალური მდგომარეობისა და სასაქონლო იერსახის შენარჩუნებაზე ზრუნვა;
9. შესრულებული სამუშაოების შესახებ ყოველდღიური რეპორტინგის განხორციელება შესაბამისი აპლიკაციისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, უშუალო ხელმძღვანელებთან;
10. კომპანიის ინტერესების დაცვა და საქმიანობის განხორციელება კომპანიის შიდა სტანდარტებისა და მითითებების შესაბამისად.